დევნილი ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა (24 ივნისი, 2016)

2016 წლის 24 ივნისს ქ. ფოთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატი, შეხვდა ქ. ფოთში მცხოვრებ დევნილ ახალგაზრდებს.

შეხვედრის მიზანი იყო დევნილი ახალგაზრდების ინფორმირება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და მინისტრის აპარატის მიერ საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე განხორციელებული და დაგეგმილი ახალგაზრდული პროექტების შესახებ. აღნიშნული ღონისძიება ითვალისწინებდა ახალგაზრდებთან შეხვედრას, რეგიონში მცხოვრები დევნილი ახალგაზრდების პრობლემებისა და საჭიროებების კვლევას და პრიორიტეტული პრობლემების განსაზღვრა. ამის საფუძველზე სამომავლოდ მუშავდება პროგრამები, რომლის განხორციელების პროცესშიც უშუალოდ ამ რეგიონის ახალგაზრდები მიიღებენ მონაწილეობას. ახალგაზრდებმა შეავსეს კვლევის კითხვარები, სადაც გამოიკვეთა ისეთი საკითხები, რომლებიც საჭიროებენ რეაგირებას. ასევე გამოიკვეთა ახალგაზრდების ინტერესების სფერო, შესაძლებლობები, გამოცდილება, ახალგაზრდულ პროექტებში მათი ჩართულობის მოტივაცია და სიხშირე.

შეხვედრის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა 16-დან 25 წლამდე 50 ახალგაზრდა. ახალგაზრდებმა დამსწრეთ გაუზიარეს საკუთარ გამოცდილება და გაუწიეს კონსულტაციები სამომავლო პროექტებში ჩართულობის მიზნით.

ახალგაზრდებს მიეცათ საშუალება დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი, თუ როგორი იყო მათი მოლოდინი აღნიშნული შეხვედრის შესახებ და რა მიიღეს მათ ამ შეხვედრიდან.

შეხვედრის პარალელურად მოხდა ინტერვიუების აღება ახალგაზრდებთან, რომელიც გამოყენებული იქნება დოკუმენტური ფილმისათვის.

ღონისძიების პარტნიორი ორგანიზაცია იყო ფოთში განსახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა საზოგადოებრივი საბჭო. ღონისძიებას ესწრებოდა ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრი ბატონი დავით გვაძაბია. ღონისძიებას ესწრებოდნენ ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა დასავლეთ საქართველოში, ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები, ფოთში განსახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა საზოგადოებრივი საბჭო, IPYG საერთაშორისო მშვიდობის ახალგაზრდული ჯგუფის კოორდინატორი, მეწარმე ქალთა ფონდი, ვახტანგ ხორავა - ქველმოქმედი, ბიზნესმენი. მათ დადებითად შეაფასეს ფოთში ახალგაზრდების ჩართულობის მიმართულებით განხორციელებული პროექტი და ახალგაზრდებს პარტნიორობა აღუთქვეს სამომავლო პროექტების განხორციელების დროს.